TBILISI HUMANITARIAN
TEACHING UNIVERSITY

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

სხდომის ოქმი № 6

ამონაწერი

28 თებერვალი 2020 წ.

თბილისი

სხდომის დაწყების დრო: 12.00

სხდომის დასრულების დრო: 13.15

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ვალენტინა საყვარელიძე – აკადემიურის საბჭოს თავმჯდომარე, თჰუ რექტორი;
2. ელენე კაკაბაძე (სამართლის ფაკულტეტი);
3. ნანა ბიჩენოვი (ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი);
4. რუსუდან ესებუა (ჰუმანიტარული ფაკულტეტი);
5. ნინო აბაიშვილი (ჯანდაცვის ფაკულტეტი);
6. დავით ძნელაძე (კვლევებისა და განვითარების ცენტრის უფროსი)
7. ნიკა დუდაშვილი (სამართლის ფაკულტეტი);
8. მედეა ჭელიძე (ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი);
9. ნინო ორმოცაძე (ჯანდაცვის ფაკულტეტი);

ასევე ესწრებოდა ვიცე-რექტორი ნინო ძნელაძე

ქვორუმი: 6

სხდომის თავმჯდომარე: პროფ. ვალენტინა საყვარელიძე

სხდომის მდივანი: ეთერ ირემაძე

დღის წესრიგი:

1. სამეცნიერო გრანტების შერჩევის და დაფინანსების შესახებ (მომხს.ნ. ძნელაძე).

1.მოისმინეს:

ვიცერექტორის, ნინო ძნელაძის, ინფორმაცია 2020 წლის 30 იანვარს თჰუ-ს მიერ გამოცხადებული შიდა საუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტების კონკურსის შედეგების, განაცხადების შერჩევისა და დაფინანსების მიმდინარეობის შესახებ. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერისა და განვითარების მიზნით გამოაცხადა შიდა საუნივერსიტეტო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი და დააფინანსებს სამეცნიერო კვლევებს უნივერსიტეტის პერსონალის მონაწილეობით, უნივერსიტეტის მიერ წინასწარ განსაზღვრულ კვლევის პრიორიტეტულ მიმართულებებში.

თჰუ-ს რექტორის ბრძანების # 02/08 (30.01.2020) მიხედვით შექმნილი კომისიის მუშაობის შედეგად რეკომენდებულია სამი პროექტი, რომელსაც წარვუდგენთ აკადემიურ საბჭოს.

აკადემიურ საბჭოს უფლება აქვს მოისმინოს დაწვრილებითი ინფორმაცია რეკომენდებული პროექტების შესახებ.

აღნიშნული პროექტებია:

1. კვლევა: საქართველოში ტურიზმის ბიზნესის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები და მათი შემცირების გზები (ქვემო ქართლის მაგალითზე)
2. კვლევა: პრეპარატ კამელინის ქიმიური შემადგენლობის შესწავლა და მისი გავლენა ორგანიზმის იმუნურ სისტემაზე
3. კვლევა: პლასტმასის მოსახსნელი პროთეზის ბაზისის სადენზინფექციო საშუალებების კრიტიკული პარამეტრების შედარებითი დახასიათება.

საბჭომ მოისმინა პროექტების პრეზენტაცია პროექტის ხელმძღვანელებისაგან.

- დავით ძნელაძემ წარმოადგინა ინფორმაცია პროექტის „პრეპარატ კამელინის ქიმიური შემადგენლობის შესწავლა და მისი გავლენა ორგანიზმის იმუნურ სისტემაზე" შესახებ. აღნიშნა, რომ პროექტი აქტუალურია და მისი შესრულებისათვის დაგეგმილია თანამშრომლობა ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრთან და კომპანია კამელინთან.
- სოფო იაკობიძემ წარმოადგინა ინფორმაცია პროექტის „პლასტმასის მოსახსნელი პროთეზის ბაზისის სადენზინფექციო საშუალებების კრიტიკული პარამეტრების შედარებითი დახასიათება" შესახებ. პროექტის ფარგლებში მჭიდრო თანამშრომლობაა დაგეგმილი სტომატოლოგიურ კლინიკებთან.
- მაია მელაძემ წარმოადგინა ინფორმაცია პროექტის „საქართველოში ტურიზმის ბიზნესის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები და მათი შემცირების გზები (ქვემო ქართლის მაგალითზე)" შესახებ. აღნიშნა, რომ პროექტის ფარგლებში თანამშრომლობა დაგეგმილია ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციასთან რეგიონის ტურისტული პოტენციალის შესწავლისა და წარმოჩენა-პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით და ა(ა)იპ ტურიზმის და მენეჯმენტის აკადემიასთან.

აზრი გამოთქვეს: ნ. ბიჩენოვმა, ე.კაკაბაძემ, ნ. დუდაშვილმა.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი პროექტების შერჩევისა და დაფინანსების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: ყველა დაეთანხმა.

დაადგინეს:

შიდა საუნივერსიტეტო სამეცნიერო საგრანტო პროექტების ფარგლებში კონკურსის შედეგად შერჩეულ იქნეს შემდეგი პროექტები:

1. საქართველოში ტურიზმის ბიზნესის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები და მათი შემცირების გზები (ქვემო ქართლის მაგალითზე), ხელ-ლი: მაია მელაძე;
2. პრეპარატ კამელინის ქიმიური შემადგენლობის შესწავლა და მისი გავლენა ორგანიზმის იმუნურ სისტემაზე, ხელ-ლი: დავით ძნელაძე;
4. პლასტმასის მოსახსნელი პროთეზის ბაზისის სადენზინფექციო საშუალებების კრიტიკული პარამეტრების შედარებითი დახასიათება, ხელ-ლი: დოდო მაღრაძე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე: ვ. საყვარელიძე

TBILISI HUMANITARIAN TEACHING UNIVERSITY
20604604 5